# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№2702 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

**სსიპ – ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ – ქართული წიგნის ეროვნულმა ცენტრმა 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით მისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს:

ა) ლიტერატურული თარგმანებისა და მათი გამოცემების ხელშეწყობისთვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

ბ) ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, საგამომცემლო პროექტების ხელშეწყობისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

გ) საზღვრებს გარეთ, ქართული ლიტერატურისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო წიგნის ბაზრობებსა და ფესტივალებზე საქართველოს ეროვნული სტენდების, პავილიონებისა და

ეროვნული პროგრამების და პროექტების წარდგენისთვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

დ) სხვადასხვა საერთაშორისო ლიტერატურულ თუ საგამომცემლო ღონისძიებასა და სემინარში ქართველი მწერლების, მთარგმნელების, ილუსტრატორების, გამომცემლების, კრიტიკოსების, ლიტერატურისა და კულტურის ჟურნალისტების მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

ე) 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის პროექტთან დაკავშირებით ღონისძიების მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**